



სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

იურიდიული სამსახური

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეთიკის კოდექსი
(დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2017 წლის
15 დეკემბერს, ოქმი N21)

პრეამბულა

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ქვეყნის ხელოვნების დარგების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი კადრების მომზადების ტრადიციული კერაა. იგი ჰუმანიზმის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა ემსახურებოდეს სიმართლისა და ცოდნის ძიებას, რაც უნდა განხორციელდეს ჯანსაღი კამათის, განსჯისა და გახსნილი, ღია ურთიერთობის საფუძველზე. ეს მიზანი მიიღწევა:

მაღალხარისხიანი სწავლების, შემოქმედებითი საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების უზრუნველყოფით თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ გარემოში; უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტურ კონტინენტს შორის ობიექტური დამოკიდებულებით, მათი კეთილსინდისიერი საქმიანობითა და საკუთარი უფლებამოვალეობების პირნათლად განხორციელებით; საუნივერსიტეტო საზოგადოების ურთიერთ ანგარიშვალდებულებით, პასუხისმგებლობითა და ტოლერანტობით.

უნივერსიტეტი ცნობს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოს, პარტნიორი და დონორი ორგანიზაციების, საერთო და საუნივერსიტეტო საზოგადოებრიობის წინაშე და უზრუნველყოფს საკუთარი პერსონალის წარმომადგენლებისა და სტუდენტების ქცევის წესებისა და ეთიკური ნორმების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას და განვითარებას.

ეთიკის კოდექსის მიზანია:

- ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში დისციპლინის დამკვიდრებას;

- განსაზღვროს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა მისაღები ქცევის წესები უნივერსიტეტის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად;
- უნივერსიტეტში პოზიტიური, სწავლების, შემოქმედებითი პროცესისა და სამეცნიერო კვლევისათვის ხელშემწყობი კლიმატის შექმნა.

უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების ეფექტურად განხორციელებას, საზოგადოების წინაშე მაღალი ნდობისა და ავტორიტეტის მოპოვებასა და პრესტიჟის შემდგომ ამაღლებას.

კოდექსი შემუშავებულია უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების და აზრთა გაცვლის საფუძველზე.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) აცნობიერებს, რომ მისი, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლის ქცევა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს წარმოადგენს უნივერსიტეტის, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის ეფექტური მუშაობის და ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან წინაპირობას. ამ მიზნით უნივერსიტეტი მიისწრაფის თანამშრომლების, აკადემიური, შემოქმედებითი, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და უნივერსიტეტთან დაკავშირებული სხვა პირების შორის ეთიკის ზოგადი წესების დანერგვისა და მათ შესრულებაზე მონიტორინგის სისტემის შექმნისაკენ.

1.2. უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის წესები ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს შრომის კოდექსსა და საუნივერსიტეტო განათლებაში დამკვიდრებულ პრაქტიკას. აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური პატიოსნების, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობასთან მიმართებით.

1.3. ეთიკის კოდექსის მიზანია, უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტებისა და საზოგადოების წინაშე არსებული პროფესიული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით დაადგინოს თანამშრომელთა ქცევის წესები, ხელი შეუწყოს თანამშრომლებში პროფესიული ღირსების განცდის დამკვიდრებას და პროფესიული საქმიანობისადმი პატივისცემას.

1.4. უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის, ამასთან, კოდექსი წარმოადგენს უნივერსიტეტის შრომითი შინაგანაწესის არსებით ნაწილს, და მისი ნორმების მოქმედება ვრცელდება როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებზე, აკადემიურ, შემოქმედებით და მასწავლებელთა პერსონალზე, აგრეთვე მოწვეულ ლექტორებსა და სტუდენტებზე.

1.5. კოდექსის დებულებები სრულად ვრცელდება თანამშრომლის ისეთი ქცევის მიმართ, რომლებიც კოდექსში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს ამ კოდექსის პრინციპებიდან.

მუხლი 2. უნივერსიტეტის ეთიკის პრინციპები

2.1. უნივერსიტეტის თანამშრომელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ საკუთარი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, მას საზოგადოების წინაშე გააჩნია პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები.

2.2. თანამშრომელი უნდა მოქმედებდეს პატიოსნებისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით.

2.3. უნივერსიტეტის თანამშრომელი საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს კულტურის, თავაზიანობის, ღირსების, პროფესიული ავტორიტეტის, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, მიუკერძოებლობის, თანამშრომლობითობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის, პრინციპებით და საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით.

2.5. თანამშრომელი ხელს უნდა უწყობდეს უნივერსიტეტის, განათლების, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგების მიმართ საზოგადოების რწმენისა და ნდობის განმტკიცებასა და ამაღლებას.

მუხლი 3. თანამშრომელთა ქცევის ზოგადი წესები

3.1. თანამშრომელი პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ პრინციპებს.

3.2. კოლეგებთან, საზოგადოებასთან, სტუდენტებთან და ზოგადად, საზოგადოებასთან ურთიერთობისას თანამშრომელი პატივისცემით უნდა მოეპყროს თანამოსაუბრეს და თავაზიანად გამოხატოს საკუთარი მოსაზრება.

3.3. თანამშრომელი ვალდებულია პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას.

3.4. დაუშვებელია ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც მიზნად ისახავს პირის შეზღუდვას ან შეურაცხყოფის მიყენებას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის ნიშნით. სტუდენტებთან ურთიერთობისას, დამატებით, დაუშვებელია ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტის შეზღუდვას ან შეურაცხყოფას აკადემიური მოსწრების ნიშნით.

3.5. კონფლიქტური სიტუაციის შექმნის შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია შეინარჩუნოს წონასწორობა და არ გააღვივოს კონფლიქტი.

3.6. თანამშრომლის ქცევა უნდა იწვევდეს კომპეტენტურობის, სანდოობისა და სერიოზულობის განცდას, რაც გამოიწვევს მათში ნდობის ამაღლებას და შემდგომი თანამშრომლობის სურვილს.

მუხლი 4. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება

4.1. თანამშრომელი ვალდებულია მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად.

4.2. დაუშვებელია:

- ა) ნებისმიერ პირზე უკანონო ზეწოლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;
- ბ) შეურაცხმყოფელი საუბარი ან შეუფერებელი სიტყვებისა და ჟარგონების გამოყენება;
- გ) ნებისმიერი პირისგან მატერიალური სახის წახალისების მიღება;
- დ) სამუშაო დროისა და მასზე გადაცემული ქონების გამოყენება არასამსახურებრივი მიზნებისათვის;
- ე) არასამსახურებრივი მიზნებისათვის სამსახურებრივი სტატუსის გამოყენება;
- ვ) არასამსახურებრივი მიზნებისთვის სამსახურებრივი ინფორმაციის გამოყენება.

მუხლი 5. კოლეგებთან ურთიერთობა

5.1. კოლეგებთან ურთიერთობისას თანამშრომელი უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი პრინციპებით:

- ა) ხელს უნდა უწყობდეს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავს უნდა არიდებდეს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;
- ბ) საკუთარ გამოცდილებას უნდა უზიარებდეს იმ კოლეგებს, რომელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ამას საჭიროებს;
- გ) არ უნდა ითხოვდეს კოლეგისაგან ისეთი მომსახურების გაწევას, რომელიც გართულებს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას;
- დ) წინასწარ განზრახულად არ უნდა შეიყვანოს კოლეგა შეცდომაში;
- ე) ტაქტიანად უნდა მიუთითებდეს კოლეგას, მის მიერ დაშვებულ შეცდომასა და ხარვეზებზე;
- ვ) უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სოლიდარობის და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელ სხვა პრინციპებსა და ნორმებს.

მუხლი 6. კონფიდენციალური ინფორმაცია

6.1. უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის ინტელექტუალური საკუთრება, კომერციული საიდუმლოება ან პერსონალურ მონაცემებს მიკუთვნებული ინფორმაციის და სხვა მონაცემთა კონფიდენციალურობა.

6.2. თანამშრომელს ეკრძალება კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურება პირადი სარგებლის მიღების მიზნით ან მის გარეშე, გამოიყენება და/ან გავრცელება, მათ შორის, პირადი თუ აკადემიური, შემოქმედებითი, სამეცნიერო და სხვა საქმიანობის მიზნით.

6.3. აკრძალულია სტუდენტების აკადემიური და დისციპლინური ინფორმაციის გახმაურება, მათ შორის სხვა სტუდენტებისთვის, ასევე სტუდენტის ოჯახის წევრებისთვის.

მუხლი 7. თანამშრომლისათვის შეუფერებელი ქცევა

7.1. დაუშვებელია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა.

7.2. დაუშვებელია უნივერსიტეტის შენობაში ალკოჰოლური სასმელის მიღება, გარდა ოფიციალური ღონისძიებებისა.

7.3. დაუშვებელია უნივერსიტეტის შენობაში თამბაქოსა და ელექტრონული სიგარეტის მოწევა
7.4. თანამშრომლის ჩაცმულობა უნდა იყოს საქმიანი სტილის. თანამშრომელი ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედების განხორციელებისაგან, რამაც შეიძლება ექვევქვე დააყენოს მისი პროფესიული დამოუკიდებლობა და შელახოს სამსახურის იმიჯი.

მუხლი 8. აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა და მოწვეული ლექტორების ქცევის წესები

8.1. ამ კოდექსით გათვალისწინებული ზოგადი წესების გარდა, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს/მასწავლებლებს და მოწვეულ ლექტორებს ევალებათ:

- ა) უზრუნველყონ სასწავლო პროცესის სათანადო აკადემიურ დონეზე განხორციელება;
- ბ) პატივი სცენ სტუდენტის დასაბუთებულ უარს, გაიზიაროს იდეა, რომელსაც პროფესორი სთავაზობს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- გ) სტუდენტის შეფასება დააფუძნოს მხოლოდ აკადემიურ მოთხოვნებს;
- დ) სასწავლო მეცადინეობის დროს გამორიცხოს სტუდენტის დისკრიმინაცია, როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური კუთხით. არ გამოხატოს ფავორიტიზმი;
- ე) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას თავი შეიკავოს პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების გამოხატვისგან, თუ აღნიშნული არ გამომდინარეობს სასწავლო კურსის შინაარსიდან, უკანასკნელ შემთხვევაში, წარმოადგინოს ისინი განყენებულად, კონკრეტული შეხედულების მიმართ საკუთარი პრეფერენციების დემონსტრირების გარეშე;
- ვ) მეცნიერული თეორიები, შეხედულებები და კონცეფციები წარმოადგინოს შესაბამის კრიტიკულ შეხედულებებთან ერთად, მათ მიმართ საკუთარი პრეფერენციების დემონსტრირების გარეშე;
- ზ) თავი შეიკავოს აუდიტორიაში სტუდენტების, კოლეგებისა და უნივერსიტეტისკრიტიკისგან, შედარებებისა თუ სხვა არაარგუმენტირებული დასკვნების გამოტანისგან, განზოგადებულად თუ ინდივიდუალიზებულად;
- თ) სტუდენტთან კომუნიკაციის დროს შეინარჩუნოს აკადემიური ფარგლები;
- ი) გააცნობიეროს საკუთარი პიროვნული და სამეცნიერო ავტორიტეტი აუდიტორიის მიმართ და იზრუნოს მის განმტკიცებაზე, გააცნობიეროს და თანამშრომლობით მიუდგეს სტუდენტის მიერ დამატებითი ინფორმაციის მიღებისკენ სწრაფვას;

- კ) შეინარჩუნოს აკადემიური იერსახე;
- ლ) იზრუნოს აკადემიური პატიოსნების ღირებულებების დამკვიდრებაზე აკადემიურ კოლექტივში.

მუხლი 9. აკადემიური პატიოსნება

9.1. უნივერსიტეტის თანამშრომელი, განსაკუთრებით კი მისი აკადემიური პერსონალი, უნდა აცნობიერებდეს, რომ საუნივერსიტეტო განათლების, შემოქმედებითი პროცესისა და კვლევის მაღალ დონეზე განხორციელება წარმოუდგენელია აკადემიური პატიოსნების დამკვიდრებისთვის მზაობისა და მისი დაცვის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, იყოს მის ფარგლებში ან მისი სახელით ჩატარებული საგანმანათლებლო, შემოქმედებით და კვლევით პროცესში აკადემიური პატიოსნების დაცვის გარანტი, ასევე გამოავლინოს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევაზე.

9.2. აკადემიური პერსონალი უნდა აცნობიერებდეს, რომ აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევისა და პლაგიატიზმის თითოეული შემთხვევა, ასევე აღნიშნულ მოქმედებებზე რეაგირების არარსებობა არის უნივერსიტეტის და მისი საგანმანათლებლო პროცესის დისკრიმინირებისა და გაუფასურების მიზეზი.

9.3. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას, გაატაროს პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკა, დანერგოს აკადემიური პატიოსნების დარღვევისა და ამ დარღვევებზე დისციპლინური რეაგირების მექანიზმები, ასევე, განსაკუთრებით მკაცრი ზომები გაატაროს პლაგიატისა და მისი რეციდივის შემთხვევაში.

9.4. პლაგიატად მიიჩნევა სხვისი ნაშრომის განზრახ მითვისება, მთლიანად ან ნაწილობრივ. მისი როგორც საკუთარის, გამოყენება ან გამოყენების მცდელობა, კერძოდ:

- ა) სხვისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფის მითვისება;
- ბ) საკუთარი სახელით სხვისი ნამუშევრის ან მისი ნაწილის წარდგენა;
- გ) სხვისი ნამუშევრის გამოყენება ციტირების მოთხოვნილი წესის დაცვის გარეშე;
- დ) წარმოდგენილ ტექსტში სხვისი ნაშრომით სისტემატყვივითი ციტირება, სიტყვითი ან წინადადების წყობის ცვლილება, შინაარსის ცვლილების გარეშე, სხვისი ნამუშევრიდან გამომდინარე დასკვნების მოყვანა წყაროს მითითების გარეშე.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევისთვის

10.1. წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული ეთიკისა და ქცევის წესების დამკვიდრება უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ამოცანას წარმოადგენს. უნივერსიტეტი მოწოდებულია, აღნიშნული წესების დამკვიდრება საუნივერსიტეტო საზოგადოების თვითშეგნების ამაღლების გზით იქნას უზრუნველყოფილი.

10.2. აღნიშნული წესის დარღვევის გამო უნივერსიტეტის ინტერესების ან საუნივერსიტეტო საზოგადოების ნებისმიერი წევრის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები დამრღვევის მიმართ.

10.3. ეთიკის დარღვევისთვის უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

- ა) შენიშვნის გამოცხადება;
- ბ) გაფრთხილების მიცემა;
- გ) ფინანსური წახალისების გაუქმება;
- დ) ფინანსური სანქციის გამოყენება;
- ე) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

10.4. შენიშვნის გამოცხადება და გაფრთხილების მიცემა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მსუბუქი ფორმა, გამოიყენება ეთიკის წესების შედარებით მსუბუქ დარღვევასთან მიმართებით.

10.5. ფინანსური წახალისების გაუქმება, აგრეთვე ფინანსური სანქციის დაკვეთა შესაძლებელია უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, განმეორებითი მსუბუქი გადაცდომის შემთხვევაში;

10.7. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ფორმა, დასაშვებია უნივერსიტეტის წესდებითა და ამ კოდექსით დადგენილი ეთიკის ნორმების ძალზედ უხეში ან არაერთგზისი დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 11. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

11.1. პერსონალსა და სტუდენტს დისციპლინური დარღვევის ჩადენისთვის ეკისრება დისციპლინური სახდელი.

11.2. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია:

- ა) მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;
- ბ) უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და სხვა ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა/დარღვევა;
- გ) ამ კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევა;
- დ) ნებისმიერი ქმედება/უმოქმედობა, რომელიც შეიძლება ფორმალურად არ წარმოადგენს ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დარღვევას, მაგრამ ლახავს უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას.

მუხლი 12. სტუდენტის პასუხისმგებლობა

12.1. სტუდენტის პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე წესის შესაბამისად.

12.2. სტუდენტს ეკისრება პასუხისმგებლობა მის მიერ ვალდებულების დარღვევის შესაბამისად.

12.3. სტუდენტის პასუხისმგებლობის საქმეს განიხილავს და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტი.

12.4. სტუდენტის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს პასუხისმგებლობის შემდეგი ღონისძიებები:

- ა) გაფრთხილება (რეკომენდაცია);
- ბ) საყვედური (შენიშვნა);
- გ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
- დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

12.5 სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით, სამართლიანი პროცედურის გზით.

12.6. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტი. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს თავისი საქმის განხილვას.

12.7. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
- ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
- გ) მიაწოდოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის ორგანოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
- დ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
- ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

12.8. სტუდენტს უფლება აქვს პასუხისმგებლობის დაკისრებაზე მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს რექტორთან ან/და სასამართლოში.

მუხლი 13. დისციპლინური წარმოების ჩატარების პრინციპები

13.1. დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებული დარღვევების შემთხვევებში ობიექტური და სამართლიანი პროცედურის გზით.

13.2. დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს პირის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

მუხლი 14. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამტარებელი ორგანოები

14.1. შენიშვნის მიცემის უფლებამოსილება აქვს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - ადმინისტრაციის თანამშრომლებთან, ხოლო შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს - აკადემიურ, მასწავლებელთა და მოწვეულ ლექტორთა პერსონალთან მიმართებაში.

14.2. გაფრთხილების მიცემის, ასევე ფინანსური სანქციების გატარების უფლებამოსილება აქვს უნივერსიტეტის რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით.

14.3. დისციპლინური წარმოებას, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, ახორციელებს უნივერსიტეტის დროებითი კოლეგიური ორგანო - დისციპლინარულ საკითხთა კომისია.

14.4. დისციპლინარულ საკითხთა კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან, რომელთა შემადგენლობაში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საკითხი შეეხება აკადემიურ პერსონალს - შესაბამისი ფაკულტეტის წარმომადგენლებიც.

მუხლი 15. თანამშრომლის უფლებების დაცვის მექანიზმები დისციპლინარული წარმოების დროს

15.1. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;
- ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
- გ) მიაწოდოს საკითხის განმხილველი კომისიის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
- დ) მონაწილეობა მიიღოს კომისიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
- ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯაროდ და განსაზღვროს პირები, რომელთა სხდომაზე მონაწილეობა მიაჩნია მართებულიად.

15.2. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს უნივერსიტეტის მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს.

15.3. ყველა სადაო ფაქტი და მტკიცებულება განიმარტება თანამშრომლის სასარგებლოდ.

მუხლი 16. დისციპლინური წარმოების პროცედურა

16.1. კოდექსის დარღვევაში ეჭვმიტანილ პირს ეცნობება მის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის პროცედურის შესახებ, ასევე ეცნობება დისციპლინურ საკითხთა კომისიის სხდომის დრო და ამ კოდექსით გათვალისწინებული მისი უფლებები.

16.2. სხდომის თარიღი უნდა დაინიშნოს დისციპლინური დევნის დაწყებიდან არა უადრეს 5 (ხუთი) დღისა.

16.3. დისციპლინური კომისიის სხდომაზე, კომისიის თავმჯდომარე გააცნობს პირს საქმის ვითარებას და საქმის გარშემო არსებულ მტკიცებულებებს. კომისია მსჯელობს გადაცდომის სიმძიმეზე, რის შემდეგ სიტყვა ეძლევა პირს, ვის მიმართ წარმოებს დისციპლინური დევნა.

16.4. პირი უფლებამოსილია დაეთანხმოს კომისიის პოზიციას, დააფიქსიროს საკუთარი შეხედულება, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, ან დასაბუთებული უარი თქვას გადაცდომის აღიარებაზე და დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება.

16.5. გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ უნდა იქნეს მიღებული ერთხმად.

16.6. გადაწყვეტილება ეცნობება პირს და წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

მუხლი 17. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შინაარსი

17.1 დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

- ა) დისციპლინური ორგანოს დასახელებას;
- ბ) დისციპლინური ორგანოს შემადგენლობას;
- გ) საქმის განხილვის თარიღს;
- დ) დისციპლინური დამრღვევის სახელს, გვარს და თანამდებობას;
- ე) დისციპლინური წარმოების დაწყების და დისციპლინური სახდელის დაკისრების თარიღს;
- ვ) დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებულ გარემოებებს;
- ზ) დისციპლინური დარღვევის არსსა და დისციპლინური დამრღვევის შეპასუხებას;
- თ) გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს;
- ი) დისციპლინური დარღვევის სახესა და დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახეს;
- კ) დისციპლინური წარმოების შეწყვეტის, განცხადება/საჩივრის დასაშვებობის უარყოფის, ან დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველს.

მუხლი 18. დისციპლინური სახდელის ძალაში შესვლა

18.1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (სახდელი) ძალაში რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ.

18.2. პირი უფლებამოსილია გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით.